

## მომსახურების პირობები

### შესავალი

მომხმარებელი რომელიც სარგებლობს სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“-ს (შემდგომში „ჯიპიაი ჰოლდინგი“) ვებ-გვერდით / ელექტრონული მომსახურებით, ვებ-გვერდის გამოყენების პირობებზე თანხმობის ღილაკის მონიშვნით, ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება „ჯიპიაი ჰოლდინგის“ დაზღვევის და ვებ-გვერდის გამოყენების პირობებს (შემდგომში „პირობები“).

### 1. ზოგადი ნაწილი:

1.1. მომხმარებელი პასუხისმგებელია ვებ-გვერდზე თავის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე

1.2. მომხმარებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი;

1.3. მომხმარებელი თანახმაა, „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ გადაამოწმოს მისი პერსონალური მონაცემები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. **პერსონალური მონაცემების დაცვა**

1.4. მომხმარებელი პასუხისმგებელია საკუთარი სარეგისტრაციო მონაცემების (ელ. ფოსტა, პაროლი და სხვა ნებისმიერი სარეგისტრაციო მონაცემები) უსაფრთხოდ შენახვაზე.

1.5. მომხმარებელი თანახმაა, მიიღოს „სმს“ შეტყობინებები და ელექტრონული წერილები „ჯიპიაი ჰოლდინგისგან“ მის მიერ მითითებულ მონაცემებზე (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი). მომხმარებლის მიერ მითითებულ მონაცემებზე გაგზავნილი შეტყობინება (ელექტრონული წერილი ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინება) ჩაითვლება ოფიციალურად მიღებულად.

1.6. მომხმარებელი თანახმაა, „ჯიპიაი ჰოლდინგმა“ მიიღოს და დაამუშაოს მომხმარებლის მიერ განცხადებით მოთხოვნილი პერსონალური მონაცემები. აღნიშნული თანხმობა გაცემულად მიიჩნევა „ჯიპიაი ჰოლდინგის“ ვებ-გვერდზე მომხმარებლის რეგისტრაციის პროცესის დასრულებისთანავე.

1.7. „ჯიპიაი ჰოლდინგის“ მიერ შექმნილი ვებ-გვერდი უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის პოლისის „ონლაინ“ შექმნასა და შექმნილი პოლისების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას.

1.8. დაზღვევა იწყება დაზღვევის ხელშეკრულების დადების დღის ოცდაოთხ საათზე და მთავრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის ოცდაოთხ საათზე. პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.

1.9. „ჯიპიაი ჰოლდინგი“ უფლებამოსილია ცალმხრივად, მომხმარებლის წინასწარი შეტყობინების გარეშე, შეიტანოს ცვლილებები და დამატებები „პირობებში“. მომხმარებლის მიერ ვებ-გვერდის შემდგომი გამოყენება ჩაითვლება თანხმობად ცვლილებებსა და დამატებებზე.

1.10. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციის შემდგომ, მათ შორის ზარალის დადგომამდე, აღმოჩნდება, რომ მომხმარებლის მიერ მითითებული ინფორმაცია სინამდვილესთან შეუსაბამოა, მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებებისაგან.

1.11. „ჯიპიაი ჰოლდინგის“ ვებ-გვერდზე განთავსებული ყველა ობიექტი, მათ შორის: ლოგო/ები, დიზაინის ელემენტები, ტექსტი, გრაფიკული გამოსახულებები, ილუსტრაციები, პროგრამები, და სხვა ობიექტები წარმოადგენს „ჯიპიაი ჰოლდინგის“ საკუთრებას. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა იკრძალება: კონტენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის კოპირება, გადამუშავება, გავრცელება, გამოქვეყნება, ჩამოტვირთვა, გადაცემა, გაყიდვა ან ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება, „ჯიპიაი ჰოლდინგის“ წერილობითი ნებართვის გარეშე;

1.12. „ჯიპიაი ჰოლდინგს“ აქვს უფლება თავად შეამოწმოს და განსაზღვროს, არის თუ არა მომხმარებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ამომწურავი, ასევე, სინამდვილესა და „პირობებთან“ შესაბამისი, ხოლო შეუსაბამობის შემთხვევაში გააუქმოს რეგისტრაცია და დახუროს მომხმარებლის ანგარიში წინასწარი გაფრთხილების საფუძველზე ან მის გარეშე.

1.13. სამუშაო დღე ემთხვევა კალენდარულ დღეს, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ განსაზღვრული უქმე დღისა.

1.14. „ჯიპიაი ჰოლდინგის“ მიერ შექმნილი ვებ-გვერდის მომსახურება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და „პირობების“ საფუძველზე.

## **2. მომხმარებლის რეგისტრაციის წესები:**

2.1. ვებ-გვერდის მეშვეობით მომსახურების გაწევის მოთხოვნისათვის სავალდებულოა:

ა) სუბიექტის ვებ-გვერდზე რეგისტრაცია;

ბ) რეგისტრაციის დროს მომსახურების გაწევისათვის დადგენილი წესების (დაზღვევის პირობები და ვებ-გვერდის გამოყენების პირობები) გაცნობა და მასზე თანხმობის გაცხადება (თანხმობის გაცხადებად მიიჩნევა ვებ-გვერდზე, შესაბამის ფანჯარაში ღილაკის – „დიახ“ მონიშვნა).

2.2. მომხმარებელი ვალდებულია რეგისტრაციის გავლის დროს და შემდგომ მიუთითოს რეალური მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სქესი, ფაქტიური და იურიდიული მისამართები და დაბადების წელი, წინააღმდეგ შემთხვევაში „ჯი პი აი ჰოლდინგი“ უფლებას იტოვებს უარი თქვას სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე, გააუქმოს რეგისტრაცია და დახუროს მომხმარებლის ანგარიში. დაზღვევის თაობაზე ან ვებ-გვერდის გამოყენებასთან დაკავშირებით ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს „ჯი პი აი ჰოლდინგს“.

2.3. რეგისტრაციის დროს აკრძალულია სხვა პიროვნების მონაცემების მითითება.

2.4. თუ „ჯიპიაი ჰოლდინგისთვის“ ცნობილი გახდება, რომ მომხმარებლის მიერ რეგისტრაციის დროს გამოყენებულ იქნა სხვა პირის მონაცემები, „ჯიპიაი ჰოლდინგი“ გააუქმებს მომხმარებლის რეგისტრაციასა და მის ანგარიშს, ასევე, მომხმარებელს ეკისრება კანონმდებლობით დაკისრებული პასუხისმგებლობა.

2.5. აკრძალულია მომხმარებლის სახელში ნებისმიერი სახის შეურაცხმყოფელი ფრაზის მითითება.

2.6. მომხმარებლის სახელი უნდა იყოს მის საკუთრებაში არსებული აქტიური ელექტრონული ფოსტის მისამართი, პაროლი უნდა შეიცავდეს ლათინურ სიმბოლოებს (A-Z), ციფრებს (0-9) და სიმბოლოებს.

2.7. ვებ-გვერდზე დარეგისტრირებული მონაცემთა სუბიექტის შემდგომი ავტორიზაცია (წვდომა მომხმარებლის მონაცემებზე) შესაძლებელია შესაბამის ფორმაში მომხმარებლის კოდის მითითებით.

2.8. ავტორიზაციის შემდგომ, მონაცემთა სუბიექტს შესაძლებლობა აქვს, ვებ-გვერდზე ელექტრონული ფორმის განცხადების შევსების და განთავსების (ატვირთვა) გზით მოითხოვოს ვებ-გვერდით შემოთავაზებული მომსახურების მიღება.

### **3. მომხმარებლის უფლებები და მოვალეობები**

3.1. მომხმარებელს არ აქვს უფლება გადასცეს თავისი მომხმარებლის სახელი და პაროლი მესამე პირს.

3.2. იდენტიფიცირებული მომხმარებელი უფლებამოსილია შეცვალოს პირადი მონაცემები (მობილურის ნომერი, ელ-ფოსტა, მისამართი) მისი სურვილისამებრ.

3.3. მომხმარებელი ვალდებულია იმოქმედოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ვებ-გვერდის წესების შესაბამისად და სრულად აგოს პასუხი მის მიერ ვებ-გვერდის საშუალებით განხორციელებულ ქმედებებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.4. მომხმარებელი სრულად პასუხისმგებელია მის მიერ მოწოდებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე, მათ შორის პროფილის ინფორმაციაზე, ბმულებზე, სურათებზე, განცხადების შინაარსზე, ანგარიშწორებაზე და სხვა.

### **4. მომხმარებლის კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დაცვა**

4.1. „ჯიპიაი ჰოლდინგი“ უზრუნველყოფს მისი კომპეტენციის ფარგლებში და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, მომხმარებლის პერსონალურ მონაცემების დაცვასა და მის კონფიდენციალურობას.

### **5. მომსახურების საფასური**

5.1. „ჯიპიაი ჰოლდინგის“ ვებ-გვერდის მეშვეობით მომხმარებლისთვის სასურველი მომსახურების გაწევის საფასურის ოდენობა, ასევე თანხის დაბრუნების პოლიტიკა განისაზღვრება „ჯიპიაი ჰოლდინგის“ მიერ შემუშავებული საფასო პოლიტიკით, რომლის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ცალკეული სადაზღვევო პროდუქტების პირობებში, ვებ-გვერდზე [www.mygpi.ge](http://www.mygpi.ge)

5.2 დაზღვევის ნებისმიერი ონლაინ არხიდან შექმნისას (აპლიკაცია/ვები), ყოველთვიური გადახდისას მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს, პოლისით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად, მზღვეველის მიერ მისი იმ საბანკო ანგარიშიდან თანხის ავტომატური ჩამოჭრის განხორციელება, რომელზედაც მიბმულია კლიენტის მიერ ონლაინ არხში მითითებული კონკრეტული საბანკო ბარათი.

კლიენტის მიერ თანხის ავტომატური ჩამოჭრის სერვისის არჩევის შემთხვევაში კლიენტი მზღვეველს უფლებას აძლევს და შესაბამისად მზღვეველი უფლებამოსილია აღნიშნული მიზნით შეინახოს მომხმარებლის მიერ შესაბამის შესავსებ ველებში მითითებული პრემიის ავტომატურად ჩამოჭრისთვის აუცილებელი საბანკო მონაცემები და გამოიყენოს ისინი მხოლოდ პოლისში მითითებული პრემიის ავტომატურ რეჟიმში დაფარვისთვის.

ყოველთვიური ან პოლისით დადგენილი სხვა პერიოდულობით პრემიის გადახდისას მზღვეველი კლიენტის მიერ მითითებული ბარათის მონაცემების მეშვეობით აძლევს იმ ბანკს მითითებას

თანხის უაქცეპტოდ ჩამოჭრაზე რომელი ბანკის ბარათის მონაცემებიც მიეთითება კლიენტის მიერ აპლიკაციის შევსებისას.

მომხმარებელი ვალდებულია უზრუნველყოს რომ პოლისით განსაზღვრულ გადახდის მომენტში საბანკო ბარათი და ანგარიში რომელზედაც აღნიშნული ბარათია მიბმული იყოს აქტიური, მონაცემები იყოს სწორი, სრული და ამავდროულად ანგარიშზე იქონიოს მინიმუმ პრემიის გადახდის მომენტისთვის ჩამოსაჭრელი თანხა ეროვნულ ვალუტაში, წანააღმდეგ შემთხვევაში მისთვის ცნობილია რომ დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული წესით შეჩერდება ან შეწყდება პოლისის/დაზღვევის მოქმედება ან/და შესაძლოა არ აუნაზრაურდეს დამდგარი შემთხვევა ან/და მას დაერიცხება დავალიანება.

ავტომატური გადახდისთვის საბანკო ბარათის და მისი მონაცემების შეცვლა შესაძლებელია ვებგვერდის [www.mygpi.ge](http://www.mygpi.ge)-ს პირადი კაბინეტიდან